

**ნაბეჭობების, სპეციალური სისტემებისა და საინიცირო უზრუნველყოფის  
ინსტიტუტი**

**2014 წლის  
სამეცნიერო ანგარიში**

ინსტიტუტის დირექტორი: ნოდარ წიგნაძე (უფროს მეცნიერ თანამშრომელი);

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა მემარიაშვილი (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი).

სამეცნიერო ერთეულის სამეცნიერო პერსონალური შემადგენლობა:

უფროსი მეცნიერ თანამშრომლები – შოთა წეროძე, მამუკა სანიკიძე, თენგიზ შუბლაძე, გურამ ბედუკაძე, ვახტანგ გოგილაშვილი, კონსტანტინე ჩხიგვაძე, გიორგი გრატიაშვილი, ამირან ლუდუშაური.

მეცნიერ თანამშრომლები – ლუდმილა ფილიპენკო, მალხაზ ნიკოლაძე, აბესალომ ჭავჭავაძე, ანდრო წიკლაური.

\* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის  
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

Nº	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ტრანსფორმირებადი, გასაშლელი, ტრანსპორტირებადი სამხედრო დანიშნულების საიერიშო ხიდის და სატანკო ხიდგამდების AVL8-72-ის შექმნა (საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები; ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები)	ე. მემარიაშვილი	მ. სანიკიძე ლ. ფილიპენკო ა. ჭავჭავაძე ა. წიკლაური მ. ნიკოლაძე

**დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)**

საიარაღო კომპლექსის, საიერიშო ხიდის AVL.B.72-ის, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დანერგის საკითხი განისაზღვრა საქართველოს თავდაცეის მინისტრის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2013 წლის 15 ნოემბერს ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების დამუშავებული თეორიის შესაბამისად, ასევე არსებული პრაქტიკიდან მოწინავე გამოცდილების მიხედვით, განისაზღვრა საქართველოს რელიეფის ტიპის შესაბამისი, გასაშლელ-დასაკეცი, ტანგზე განთავსებული, საიერიშო სამხედრო ხიდის შექმნის კონცეფცია. შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი.

მიმდინარე წელს:

- შეიქმნა ტრანსფორმირებადი, საიერიშო სამხედრო ხიდის და სატანკო ხიდგამდების ერთიანი პრინციპული სქემა;
- განხორციელდა გასაშლელი ხიდის და ხიდგამდების თეორიული კვლევა და კონსტრუირება;
- შეიქმნა ტრანსფორმირებადი საცდელი ვარიანტის ექსპერიმენტული კვლევის პროგრამა.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	ვენახების ავტონომიური სეტყვასაწინააღმდეგო ტრანსფორმირებადი სისტემის შექმნა  (საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნიკოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები; მცენარეთა დაცვა)	ე. მემარიაშვილი	6. წიგნაძე მ. სანიკიძე ლ. ფილიპენკო ა. ჭავოძე თ. ჩალაური ა. ჯახუა ი. მახარაშვილი ნ. მემარიაშვილი

**დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)**

პროექტის მომზადების ეტაპისათვის შეიქმნა ვენახის ნარგავების სეტყვისა და ქარისაგან დაცვის სისტემის პრინციპული სქემა, რომელზეც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულია პატენტი. სქემის მიხედვით აიგო სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის სადემონსტრაციო მოდელი. პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია პრინციპული სქემის საფუძველზე ეფექტური და ეკონომიკური სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის შექმნა.

მიმდინარე წელს ჩატარდა:

- აგებული საცდელი სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;

– აგებული საცდელი სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის თეორიული კვლევა.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3	ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია და კონსტრუირების ლოგიკა. (საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები;)	ე. მემარიაშვილი	შ. წეროძე, ნ. წიგნაძე, გ. გოგილაშვილი, პ. წხიკვაძე, გ. ბედუკაძე, ლ. ფილიპენჯო, ა. ჭაფოძე, ა. წიკლაური.
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

ვინაიდან ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემები და კონკრეტულად საანგენო ტექნიკა, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში განიცდის სწრაფ განვითარებას, საჭიროა ახალი მასალების განუწყვეტელი ძიება. გამომდინარე აქედან მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით და ტექნიკურ ცენტრებში არსებული სიახლეების გათვალისწინებით მოძიებულია უამრავი მასალა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობაშია მოყვანილი. ყოველივე ამის შემდგომ დადგა საკითხი მოძიებული და არსებული მასალების მიზნობრივი სისტემატიზაციისა, რაც წარმატებით იქნა განხორციელებული 2013 წლის განმავლობაში.

კვლევების შემდგომ ეტაპზე შეიქმნა ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემის განხოგადებული მოდელი და განხორციელდა ტრანსფორმირებადი სისტემების თეორიული ნაწილის დამუშავება, მისი ექსპერიმენტული კვლევა და საფრენი ვარიანტის ფუნქციონალური მოდელის შექმნის წინაპირობების განსაზღვრა (იხ. ქვემოთ).

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
4	გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საცდელი კონსტრუქციის თეორიული კვლევა და კომპიუტერული გაანგარიშება (საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები;)	ე. მემარიაშვილი	შ. წეროძე, ნ. წიგნაძე, გ. გოგილაშვილი, პ. წხიკვაძე, გ. ბედუკაძე, ლ. ფილიპენჯო, ა. ჭაფოძე, ა. წიკლაური.
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

ჩატარებულია რეფლექტორის კონსტრუქციის თეორიული კვლევა და კომპიუტერული გაანგარიშება შემდეგი სქემის მიხედვით:

**რეფლექტორის საანგარიშო მოდელის აღწერა:** აღნიშნული რეფლექტორის სიმტკიცეზე, სიხისტეზე და მდგრადობაზე ანალიზი განხორციელდა საპროგრამო კომპლექს **NASTRAN**-ში. რეფლექტორის კონსტრუქცია შედგება: ღარებისა და ჩასატები ღეროებისგან, რომელიც მოდელირებულია ძელის (**Bar**) ელემენტით, ჩასატები ღეროების დამაკავშირებელ სახსრისგან და სექციების სახსრულად დამაკავშირებელი მექანიზმისგან, რომელიც ასევე მოდელირებულია ძელის (**Bar**) ელემენტით. გამშლელი და მასტაბილიზირებელი ბაგირებისგან, რომელიც მოდელირებულია ფერმის (**Rod**) ელემენტით. ზედა და ქვედა ბადისგან და მათი მოჭიმი დანერგებისგან, რომელიც ასევე მოდელირებულია ფერმის (**Rod**) ელემენტით. რეფლექტორის კონსტრუქციის სისტემაში შემავალი კვანძების რაოდენობა შეადგენს 194, ხოლო ელემენტების რაოდენობა 511.

**რეფლექტორის საანგარიშო დატვირთვების აღწერა:** I - სტატიკური დატვირთვები ტემპერატურის გათვალისწინებით; II - მოდულური ანალიზი საკუთარ სისტირებზე; III - ანალიზი მდგრადობის დაკარგვაზე ტემპერატურის გათვალისწინებით. დატვირთვები რეფლექტორის შემადგენელ ელემენტებში, კერძოდ გამშლელ ბაგირში აღებულ იქნა 5კგ-მდე, შპრენგელ ბაგირში 2.5კგ-მდე, ხოლო ბადის დამჭიმავ ელემენტზე 0.25 კგ-მდე. სტრუქტურული ანალიზის დროს გათვალისწინებული იქნა შემდეგი ტემპერატურული ვალი [+150]; [-150]; [+150, -150]; [+150, +150, +150, -150].

**ჩატარებული კვლევების აღწერა:** ჩატარებულია რეფლექტორის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი; მისი შემადგენელი ელემენტების სიმტკიცეზე ანალიზი; ასევე რეფლექტორის კონსტრუქციის სიმტკიცეზე და მდგრადობაზე ანალიზი სტატიკური და ტემპერატურული დატვირთვების გათვალისწინებით; დადგენილია დინამიკური მახასიათებლები და წარმოდგენილია სისტემის საკუთარი სისტირის ფორმები.

### მიღებული შედეგები:

- ბადის შემადგენელი კვანძების ჯამური გადაადგილებები საკმაოდ მცირეა, რაც დაჭიმული სტრუქტურის მაღალი სიხისტის მაჩვენებელია;
- მოქმედი ძაბვები კონსტრუქციის შემადგენელი მასალებისთვის დასაშვების ზღვრებშია, გამომდინარე აქვდან მთლიანობაში შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული კონსტრუქცია მოცემული დატვირთვების პირობებში აკმაყოფილებს სიმტკიცის პირობებს;
- გარდა ამისა სტრუქტურას გააჩნია საკმაოდ მაღალი დინამიკური მახასიათებლები, რაც მისი საიმედოობის მაჩვენებელია სიზუსტის, სიხისტისა და სიმსუბუქის პირობების გათვალისწინებით.

Nº	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
5	გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საცდელი კონსტრუქციის ექსპერიმენტული კვლევა	ე. მემმარიაშვილი	შ. წეროძე, ნ. წიგნაძე, გ. გოგილაშვილი, კ. ჩხილაძე, გ. ბერიძე

	(საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები)		ლ. ფილიპენკო, ა. ჭაფოძე, ა. წიკლაური.								
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)											
<b>ჩატარებული ექსპერიმენტი:</b> თეორიულ კვლევებთან ერთად კონსტრუქცია გაუწონადობის სტენდზე გამოცდილ იქნა ტრანსფორმაციაზე. აღსანიშნავია გამშლელი მექანიზმისა და სექციის მასტაბილიზირებელი ბაგირების კვანძების მოწყობის თავისებურებანი.											
კერძოდ, გამშლელ მექანიზმი, ყოველი გარდატეხის წერტილში, ერთი მიმმართველი გორგოლაჭის ნაცვლად გამოყენებული იყო სამი. ხოლო მასტაბილიზირებელი ბაგირების დამხვევი ხრუტუნამექანიზმიანი დოლი განთავსებული იყო ყოველი დგარის შუაში.											
ექსპერიმენტი აჩვენა წარმოდგენილი კვანძების მიზანშეუწონადობა, ვინაიდან 12 სექციის შემთხვევაში საკმარისი აღმოჩნდა თითო მიმმართველი გორგოლაჭის გამოყენება.											
ხოლო, რაც შეეხება ხრუტუნა მექანიზმიან დამხვევ დოლს იგი შეცვლილ იქნა წვრილი დასაკეცი ლითონის დეროებით, რამაც ბევრად გაამარტივა კონსტრუქცია.											
<b>მიღებული შედეგები:</b>											
<ul style="list-style-type: none"> <li>გამშლელი მექანიზმის მიმმართველი გორგოლაჭების რაოდენობის შემცირებით მკვეთრად შემცირდა კონსტრუქციის საერთო მასა;</li> </ul> <p>მასტაბილიზირებელი ბაგირების დამხვევი ხრუტუნა მექანიზმის ამოგდებით, წონის შემცირებასთან ერთად გაიზარდა კონსტრუქციის გაშლის საიმედოობა</p>											
<table border="1"> <thead> <tr> <th>№</th> <th>სამუშაოს დასახელება</th> <th>სამუშაოს ხელმძღვანელი</th> <th>სამუშაოს შემსრულებლები</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>6</td> <td>გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საფრენოსნო ვარიანტის ფუნქციონალური მოდელის შექმნის წინაპირობების განსაზღვრა (საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები;)</td> <td>ქ. მემმარიაშვილი</td> <td>შ. წეროძე, ნ. წიგნაძე, ვ. გოგილაშვილი, კ. ჩხილაძე, გ. ბედუკაძე, ლ. ფილიპენკო, ა. ჭაფოძე, ა. წიკლაური.</td> </tr> </tbody> </table>				№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები	6	გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საფრენოსნო ვარიანტის ფუნქციონალური მოდელის შექმნის წინაპირობების განსაზღვრა (საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები;)	ქ. მემმარიაშვილი	შ. წეროძე, ნ. წიგნაძე, ვ. გოგილაშვილი, კ. ჩხილაძე, გ. ბედუკაძე, ლ. ფილიპენკო, ა. ჭაფოძე, ა. წიკლაური.
№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები								
6	გასაშლელი, კოსმოსური ოფსეტური ახალი თაობის რეფლექტორის საფრენოსნო ვარიანტის ფუნქციონალური მოდელის შექმნის წინაპირობების განსაზღვრა (საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები;)	ქ. მემმარიაშვილი	შ. წეროძე, ნ. წიგნაძე, ვ. გოგილაშვილი, კ. ჩხილაძე, გ. ბედუკაძე, ლ. ფილიპენკო, ა. ჭაფოძე, ა. წიკლაური.								
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)											

გასაშლელი კოსმოსური ოფსეტური რეფლექტორებისათვის, ფუნქციონალური მოდელის შექმნის წინაპირობების განსასაზღვრელად, განხილულ იქნა სხვადასხვა სქემებიანი გამშლელი რგოლები რომელთა აპერტურის მაქსიმალური გაბარიტი შეადგენს 4480,60 მმ-ს, ხოლო მინიმალური - 4162,84 მმ-ს.

კონკრეტულად, სიმსუბუქისა და ტექნოლოგიურობის პირობების დაცვით შედარებულ იქნა რგოლები, რომელთაც გააჩნიათ ორპანტოგრაფიანი ჩარჩოსებრი სტრუქტურა; ორპანტოგრაფიანი ფერმული სტრუქტურა; ზამბარებით და ელძრავებით გასაშლელი “ჩასატებლეროებიანი” სტრუქტურა და ელამძრავებით გასაშლელი “ჩასატებლეროებიანი” სტრუქტურა. ასევე განხილულია მათი მოდიფიკაციებიც.

- განხილული ლოგიკის საფუძველზე შერჩეულია ოპტიმალური ვარიანტი გასაშლელრგოლიანი სტრუქტურისა.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
7	დასრულდა მუშაობა სამეცნიერო-პოპულარულ ქართულ სამხედრო ენციკლოპედიურ ლექსიკონზე. სამეცნიერო კვლევის კატეგორია – მდგრადი განვითარება, სამეცნიერო კვლევის მიმართულება –სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.	ე. მექმარიაშვილი	თენგიზ შუბლაძე; ამირან დუდუშაური; ანა რეხვიაშვილი; მოწვევული სპეციალისტები; ირინა გოგოლაშვილი; ლამარა კინტურაშვილი.
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

ლექსიკონზე მუშაობის პროცესში დამუშავებულ იქნა NATO-ს, მისი წევრი და სხვა სახელმწიფოების, ასევე ისტორიული და თანამედროვე სამხედრო ცნებები.

ლექსიკონში ასახულია შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

სამხედრო მშენებლობა; სამხედრო პერსონალიები; სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება; სამხედრო ხელოვნება; სამხედრო ისტორია; სამხედრო გეოგრაფია.

ენციკლოპედიურ ლექსიკონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტატიებს ომის და მშვიდობის, სახელმწიფოს თავდაცვის და უსაფრთხოების, სამხედრო ეკონომიკის, საერთაშორისო და სახელმწიფო სამხედრო სამართლის, პირადი შემადგენლობის სწავლების, აღზრდის და სხვა პრობლემებს.

ენციკლოპედიურ ლექსიკონში დამუშავებული, ორთოგრაფიულად ჩასწორებული და რედაქტირებულია 4690 სტატია, რაც მოცულობით შეადგენს 1120 ნაბეჭდ გვერდს.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
8	<p>საქართველოს ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადების, საბრძოლო მოქმედებების და ოპერაციების სამსედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სისტემატიზირებული კონცეფციის განსაზღვრის და თეორიული საფუძვლების შექმნის აქტუალური მიმართულებების მიხედვით ამოცანების და ზოგადი პრინციპების სისტემატიზაცია და სამეცნიერო საფუძვლების პრიორიტეტების განსაზღვრა.</p> <p>(სამეცნიერო კვლევის კატეგორია – მდგრადი განვითარება, სამეცნიერო კვლევის მიმართულება –სამსედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა).</p>	<p>აკადემიკოსი ელგუჯა მემარიაშვილი.</p>	<p>თენციზ შუბლაძე; ამირან დუდუშაური; ანა რეხვიაშვილი;</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>თემაზე მუშაობის პროცესში დამუშავებული იქნა შემდეგი საკითხები: სახელმწიფოს ერთიანი სამსედრო-საინჟინრო კომპლექსის (შემდგომში – კომპლექსი) სისტემური სტრუქტურა (სამოქალაქო-საინჟინრო და სამსედრო-საინჟინრო სისტემები) და თუ რას მოიცავს თითოეული მათგანი; კომპლექსის მოქმედების ძირითადი მიზნები და ამოცანები; კომპლექსის შექმნის, მართვისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; კომპლექსზე იარაღის, ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების ზემოქმედების სავარაუდო ვარიანტები, მათი მასშტაბები და შედეგები; საომარი, საგანგებო და ექსტრემალური გარემოს უმთავრესი სამსედრო მახასიათებლები; ბრძოლების და ოპერაციების სამსედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ხელოვნური გარემოს სტრუქტურა და შექმნის ეტაპები.</p> <p>თემის დასკვნით ნაწილში დასაბუთებულია, რომ სამსედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის განხილულმა სისტემამ მისი ფუნქციონირების ყველა ეტაპზე უნდა განაპირობოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– მოწინააღმდეგის მობილურობის ბლოკირება;</li> <li>– საკუთარი ძალებისა და საშუალებების მობილურობა და მანევრი;</li> <li>– საკუთარი ძალების და საშუალებების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება;</li> <li>– მოსახლეობის, პირადი შემადგენლობის, შეიარაღების და სამსედო ტექნიკის შენიდვის დონისძიებების კომპლექსი;</li> <li>– სამოქალაქო ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების დაცვა და მდგრადი ფუნქციონირების პირობების შექმნა.</li> </ul>			

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
9	<p>სამუშაოს კლასიფიკაცია ოპერატიულ-სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეებზე.</p> <p>სამეცნიერო კვლევის კატეგორია – მდგრადი განვითარება, სამეცნიერო კვლევის მიმართულება –სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.</p>	<p>აკადემიკოსი ელგუჯა მემარიაშვილი.</p>	<p>თენაზი შებლაძე; ამირან ლუდუშაური; ანა რეხვიაშვილი;</p>
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>თემაზე მუშაობის პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ღონისძიებები უნდა განისაზღვროს, როგორც სტრატეგიულ და ოპერატიულ ასევე ტაქტიკურ ღონებზე. განისაზღვრა თუ რას გულისხმობს და მოიცავს თითოეული დონე. აქვე ჩამოყალიბებულ იქნა სამხედრო ძალების ოპერაციების და ბრძოლების საინჟინრო უზრუნველყოფის უმთავრესი მიზნები და ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც უნდა მოიცვას ქვეყნის ერთიანმა სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსმა. ჩამოყალიბდა ქვეყნის ტერიტორიის საინჟინრო მოწყობის მიზნის მისაღწევად ამოცანების ჩამონათვალი და ის სამუშაოები, რომელთა ჩატარებაც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.</p> <p>თემის დასკვნით ნაწილში გაკეთდა აღნიშნული სამუშაოების სისტემატიზირება და მათი ოპერატიულ-სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეებზე კლასიფირება.</p>			

**\* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ლამინირებული მასალის ზოლურას მისაკრავი	სსიპ შოთა რუსთაველის	გ. გრატიაშვილი	ა. ჭავოძე

<p>ხელსაწყო.</p> <p>საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – მექანიკური და ფიზიკა-ტექნიკური დამუშავების პროცესები, ჩარხები, იარაღები და ტექნოლოგიური მოწყობილობა</p>	<p>ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>		
<b>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</b>			
<p>გეომეტრიულად რთული ზედაპირის მქონე ლამინირებულ მასალაზე ზოლურას მისაკრავი ხელსაწყოს შექმნა, ხელს შეუწყობს უფრო ორდინალურ და ექსტრავაგანტური დიზაინის მქონე საოფისე და საყოფაცხოვრებო ავეჯის შექმნას, რაც ერთმნიშვნელოვნად გამოიწვევს, პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის მცირე და საშუალო, ლამინირებული ავეჯის დამაზადებელ საწარმოთა კონკურენტუნარიანობის და მათი პროდუქციის წარმადობის ზრდას.</p> <p>ზემოაღნიშნული გრანტის ფარგლებში, ჩვენი იდეის საფუძველზე, სითბოგადაცემის კანონებზე დაყრდნობით დადგინდა ფიზიკო-მექანიკური პარამეტრები, დაპროექტდა კონცეპტუალური მოდელი და შეიქმნა ლამინირებული მასალის ზოლურას მისაკრავი ხელსაწყოს პირველი პროტოტიპი, რომელმაც წარმატებით გაიარა პირველადი საექსპლუატაციო ექსპერიმენტული პროცესი.</p> <p>შექმნილი პროტოტიპის საფუძველზე აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ეფექტური და ეკონომიური ლამინირებული მასალის ზოლურას მისაკრავი ხელსაწყოს შექმნას, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივით.</p>			

#### \* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე. მექმარიაშვილი მ. სანიკიძე გ. გრატიაშვილი	ლითონის კონსტრუქციები	მიმდინარეობს რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება	400

### ანოტაციები

სახელმძღვანელო განკუთვნილია სამშენებლო სპეციალობის სტუდენტებისათვის. მის მეთოდურ თავისებურებას წარმოადგენს მასალის მიწოდების შეკუმშული, კონცენტრირებული ფორმა, რასაც თან ახლავს ილუსტრაციების დიდი რაოდენობა, რაც გარკვეულ წილად აიოლებს მის ათვისებას საინჟინრო დისციპლინების სწავლების მოთხოვნების გათვალისწინებით.

წიგნი შედგება 13 თავისგან, რომლებიც ძირითადად შეიცავენ კონსტრუქციების ფორმათწარმოქმნის საკითხებს, კვანძებისა და დეტალების გადაწყვეტებს, კონსტრუქციების გაანგარიშების მიახლოებით ხერხებს და მათი რაციონალური გამოყენების რეკომენდაციებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიდმალიანი და სივრცითი კონსტრუქციების კონსტრუქციულ ფორმებს, აგრეთვე მაღლივ კარპასულ შენობებს.

თავი 1. დაპროექტების საფუძვლები; თავი 2. ლითონური კონსტრუქციების შეერთებები; თავი 3. კოჭები; თავი 4. სეეტები; თავი 5. ფერმები; თავი 6. ერთსართულიანი სამრეწველო შენობების კარგასები; თავი 7. მრავალსართულიანი შენობების კარგასები; შენობების კარგასები; თავი 8. დიდმალიანი ჩარჩოვანი კონსტრუქციები; თავი 9. თაღოვანი. კონსტრუქციები; თავი 10. გისოსოვანი ნაოჭები და ბადისებრი კამარები; თავი 11. ორმაგი სიმრუდის გადახურვების კონსტრუქციები; თავი 12. ჯვარედინა-დეროვანი კონსტრუქციები; თავი 13. კიდული გადახურვები.

### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, შერნა- ლის/კრებულის დასახელება	შერნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	M. Sanikidze, O. Tusishvili, N. Medzmariašvili, G. Gratiashvili	The new more accurate technological method to create reflecting surface of reflector. saqarTvelos teqnikuri universitetis Sromebi	№ 1(491), 2014	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	9
2	M. Sanikidze, G. Gratiashvili	Numerical study of mode of	#3(56), 2014	Tbilisi, International federation	11

		deformation of single-mesh shell's models. AInternational scientific journal “Problems of mechanics”		for the promotion of mechanism and machine science, Geirgian committee	
3	M. Sanikidze, G. Gratiashvili	Analyses of emitted and transferred at cutting process into the cutting tool plate heat by finite elements method.	#3(56), 2014	Tbilisi, International federation for the promotion of mechanism and machine science, Geirgian committee	4
4	ქ. მემარიაშვილი. ნ. წიგნაძე, გ. სანიკიძე, გ. მემარიაშვილი, ა. ჭაფოძე, ლ. ფილიპენკო, ნ. მემარიაშვილი	“მექანიზმებული ხიდი და ხიდის დამტკიცები”. პატენტი № 6066, “სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი”		საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 2014	45
5	ქ. მემარიაშვილი. ნ. წიგნაძე, ა. ჭაფოძე, გ. ნიკოლაძე, ო. მახარაშვილი, თ. ჩალაური	“ყურძნის საჭყლები მოწყობილობა”		საქართველო, რეგ. №13481/01, თბილისი 2014 (იმყოფება არსებითი ექსპერტიზის სტადიაზე)	17
6	ქ. მემარიაშვილი. ნ. მემარიაშვილი	“მფრინავი თეფშის ფორმის მქონე ნაგებობა”		საქართველო, რეგ. №13536/01, თბილისი 2014 (იმყოფება არსებითი ექსპერტიზის სტადიაზე	19

7	ე. მემარიაშვილი, 6. წიგნაძე, გ. ბედუპაძე, გ. ჯანიგაშვილი, ო. ტუსიშვილი, ლ. ფილიპენკო, 6. მემარიაშვილი, ა. ჯახუა, ჯ. სანტიაგო- პროვალდი, ს. მანჯენოვი, პ. ვანტ კლოსტერი, ჰ. ბაიერი	მსუბუქი განშლადი რეფლექტორების ახალი კონსტრუქციები	იბეჭდება საერთაშორისო ურნალში მექანიკის პრობლემები №4 (57) 2014	თბილისი	15
8	Sh. Tserodze, N. Tsignadze, E. Medzmariashvili, L. Datashvili, J. Santiago Prowald.	Mechanical support ring structure		WO2013135298 (A1), 03. 15. 2012.  ევროპატენტი დამუშავების პროცესშია	
9	E. Medzmariashvili, N. Tsignadze, N. Medzmariashvili, J. Santiago Prowald.	Deployable antenna frame		WO2014/053163 (A1), 01.10.2012.  ევროპატენტი დამუშავების პროცესშია	
ანობაციები					

- ნაშრომი ეძღვნება რეფლექტორულ ანტენებში ამრეკლი ზედაპირის მიღების ერთ-ერთ ახალ მეთოდს, რომლის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა ზედაპირის უფრო მაღალი რიგის აპროქსიმირებული სიზუსტე. ნაშრომში აგრეთვე წარმოდგენილია რეფლექტორის ამრეკლი ბაზის დრეკადობის მოდულის, მჭიმების მოწყობისა და მათი დაჭიმულობის ძალის ექსპერიმენტული გამოკვლევა. განსაზღვრულია ბაზის დრეკადობისმოდულის საშუალო მნიშვნელობები, აგრეთვე, დაჭიმულობის ძალებსა და ბაზეზე მჭიმების მოდების წერტილების გადაადგილებებს შორის დამოკიდებულების ხასიათი.
- ნაშრომში განხილულია ცვლადი სიმრუდის შედგენილი ბაზისებრი ალუმინის გარსების მოდელების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის რიცხვითი გამოკვლევის შედეგები. მოდელებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა თანაბრად განაწილებულ სტატიკურ დატვირთვაზე აჩვენა, რომ გარსი მუშაობს როგორც შეკუმშული კონსტრუქცია მაღალი

	<p>მზიდუნარიანობით და დადასტურდა, რომ გარსის დეფორმაციების განმსაზღვრელია თანაბრად განაწილებული დატვირთვა. მოდელების რიცხვითმა გაანგარიშებამ დრეკად სტადიაში აჩვენა გაანგარიშებისა და ექსპერიმენტის შედეგების კარგი შესაბამისობა. გამოკვლევამ თანაბრად განაწილებული დატვირთვის მოქმედებაზე აჩვენა, რომ რდვევის დამახასიათებელ სახეს წარმოადგენს მზიდუნარიანობის დაკარგვა, რაც დაკავშირებულია გარსების გეომეტრიის ცვლილებასთან საკმაოდ დიდი დატვირთვების დროს.</p>
3.	<p>ნაშრომში განხილულია და შემუშავებულია საჭრისის მჭრელი ფირფიტის გეომეტრიული მოდელი და წარმოდგენილია სასრული ელემენტების სახით, ასევე სითბოგადაცემისა კანონებზე დაყრდნობით მიღებულია საჭრისის მჭრელ ფირფიტაში სითბოს გადაცემისა და განაწილების გათვლის ახალი ორიგინალური მეთოდი, რომელიც სასრული ელემენტების გამოყენების მეთოდზე დაყრდნობით იქნა მიღებული.</p>
4.	<p>გამოგონება განეკუთვნება სამხედრო-საინჟინრო ტექნიკას, კერძოდ ზღუდეზე დასაგებ ორლიანდიან მექანიზირებულ ხიდებსა და მათ დამწყობებს, მაგალითად მუხლუხა სატრანსპორტო საშუალებაზე მოწყობილ ხიდების დამწყობებს, რომლებიც გამოიყენება სტიქიური უბედურებისა და ავარიული სიტუაციის ადგილებში და აგრეთვე სამხედრო მოქმედებების დროს მიუღიობელ ადგილებში სამაშველო/სამხედრო ტექნიკის გადასაყვანად. გამოგონების ტექნიკური შედეგია – ხიდის საექსპლუატაციო მახასიათებლების გაუმჯობესება, მისი მაღის გაზრდა და ხიდის დამწყობის საიმედოობის ამაღლება.</p>
5.	<p>სავარაუდო გამოგონება განეკუთვნება დვინის მწარმოებელ მრეწველობას, კერძოდ უურძნის საჭყლებ მოწყობილობას. სავარაუდო გამოგონების ტექნიკური შედეგი იქნება მოწყობილობის გამარტივება და მის მომსახურებაზე დროისა და შრომის დანახარჯების შემცირება.</p>
6.	<p>სავარაუდო გამოგონება განეკუთვნება მშენებლობას, კერძოდ მრავალფუნქციური დანიშნულების ნაგებობების ასაგებად – საოფისე, სავაჭრო, გასართობი და სხვ. სავარაუდო გამოგონების ტექნიკური შედეგი იქნება ის, რომ შეიქმნება ფერდობზე შეკიდული მფრინავი თეფშის ფორმის მქონე ნაგებობა და ამასთან ერთად მისთვის დამახასიათებელი იქნება მაღალი საექსპლუატაციო მაჩვენებლები, რომელიც მიიღწევა მასზე მოქმედი მიზიდულობის ძალის, ქარის დატვირთვის და ხალხის წონის გასათანაბრებელი საპირწონე ბალასტით.</p>
7.	<p>დიდგაბარიტიანი, მსუბუქი, ხისტი და ზუსტი რეფლექტორების შექმნის ამოცანა ძალზედ აქტუალურია კოსმოსური ანტენების შექმნის სფეროში. უკანასკნელ წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ევროპულ კოსმოსურ სააგენტოსთან და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ახალი სტრუქტურული კონსტრუქციის დასამუშავებლად. რგოლების კონსტრუქციებში გამოიყენება ორმაგი წრიული პანტოგრაფები, კონუსური ჩასატეხი დეროები, განშლელი ზამბარები და ელექტროძრავები, რომლებიც ჭიმავენ დრეკად, გეომეტრიულად უცვლელ ცენტრალურ ნაწილს. ყველა აქ ჩამოთვლილი კონსტრუქციები იყო დამუშავებული და თეორიულად და ექსპერიმენტულად დასაბუთებული წარმოდგენილ ნაშრომში, რომელიც</p>

<p>წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ განხორციიელებული მოღვაწეობის შედეგს. გამოკვლევებით და გამოცდებით გამოვლენილი ახალი კონსტრუქციების უპირატესობები და უარყოფითი მხარეები წარმოდგენილია რეცენზირებულ ნაშრომში. ასევე ნაჩვენებია, რომ წარმოდგენილი კონსტრუქციები ხისტია, მსუბუქი და შესაძლებელია გაკონტროლდეს მათი გაშლის პროცესებიც.</p> <p>8. წარმოდგენილია ორპანტოგრაფიანი ძალოვანი რგოლი როგორც ცილინდრული ასევე კონუსური შესრულებით. კონუსური რგოლისთვის აღსანიშნავია ახალი კვანძების შემოტანა კონსტრუქციაში, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურის ერთეტაპიან გაშლას ყოველგვარი დამატებითი სექციებისა და დამატებითი გამშლელი მოწყობილობების გარეშე. ხასიათდება მაღალი სიხისტით.</p> <p>9. წარმოდგენილია ჩასატეხდეროებიანი რგოლები ცილინდრული და კონუსური შესრულებით. შემოტანილია ახალი ტიპის სინქრონიზაციის ელემენტები და გამშლელ მექანიზმად გამოყენებულია ელექტროამძრავები. კონსტრუქცია საკმაოდ ხისტია და მსუბუქი.</p>
---

### ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	შერნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Sh. Tserodze, J. Santiago Prowald, V. Gogilashvili, K. Chkhikvadze	modification of a transformable mechanical cone reflector with v-folding rods		მიმღინარეობს რედაქტორება ჯ. სანტიაგო პროვალდის მიერ ევროპული კოსმოსური სააგენტოს “CEAS Space” ჟურნალში გამოსაქვეყნებლად	CEAS Space Journal of the Council of European Aerospace Societies ISSN 1868-2502

### ანოტაციები

ვიხილავთ ჩაკეტილ კონტურიან ჯაჭვურ სისტემას, რომელიც ტრანსფორმირების დროს იშლება კონუსურ ზედაპირზე, რომლის ცალკეული კვანძი აწარმოებს სინქრონულ ცენტრიდანულ მოძრაობას მოცემული საწყისი პირობების შესაბამისად. მხედველობაში მიღებულია მხოლოდ სისტემის ძირითადი მოძრაობები გამოწვეული გეომეტრიული ბმებით.

სისტემის კინემატიკურ ანალიზს ვატარებთ რეგულარული კვანძის სტრუქტურულ ელემენტზე, რომელიც ასახავს მთლიანი სისტემის კინემატიკას. სტრუქტურული ელემენტი წარმოადგენს დიფერენციალურ ბერკეტულ მექანიზმს, რომლის ამძრავი ელემენტებით შესაძლებელია მივიღოთ მახასიათებელი ჯაჭვის სასურველი მოძრაობის კანონი, რაც საშუალებას გვაძლევს ავაგოთ დიფერენციალური ბერკეტული მექანიზმის მდებარეობის ფუნქცია და კინემატიკური გადამცემი ფუნქციები.

### \* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	M. Sanikidze, E.Medzmariashvili, O. Tusishvili, G. Gratiashvili, N. Medzmariashvili, M.Janikashvili	Erection cycle of deployable space reflectors using the functional and technological screen mesh	International Scientific conference - Advanced Lightweight Structures and Reflector Antennas  1-3 October, 2014, Tbilisi, Georgia
2.	Sh. Tserodze , J. Santiago Prowald, V. Gogilashvili, K. Chkhikvadze, N. Tsignadze, A. Chapodze, M. Nikoladze.	New design of a transformable mechanical cone system with v- folding rods	Proceedings of 2 <sup>nd</sup> International Scientific Conference “Advanced Lightweight Structures And Reflector Antennas”. 1-3 October, 2014 Tbilisi, Georgia, p. 89-98.

3.	E. Medzmariashvili, Julian Santiago-Prowald, Cyril Mangenot, Horst Baier, Leri Datashvili, Nodar Tsignadze, Lorenzo Scialino, kees Van't Klooster, Guram Bedukadze, Mikheil Janikashvili, Otar Tusishvili, Ludmila Philipenko, Nikoloz Medzmariashvili, Ariadna Jakhua.	New constructions of lightweight deployable reflectors	Proceedings of 2 <sup>nd</sup> International Scientific Conference “Advanced Lightweight Structures And Reflector Antennas”. 1-3 October, 2014 Tbilisi, Georgia, p. 21-28.
4.	N. Medzmariashvili, G. Medzmariashvili.	Structure of lightweight reflector using the principle of “tension architecture”	Proceedings of 2 <sup>nd</sup> International Scientific Conference “Advanced Lightweight Structures And Reflector Antennas”. 1-3 October, 2014 Tbilisi, Georgia, p. 384-390.
5.	E. Medzmariashvili, N. Tsignadze, J. Santiago Prowald, L. Datashvili, O. Tusishvili, G. Phavlenishvili.	Conical v-fold bar ring with flexible pre-stressed center	Proceedings of 2 <sup>nd</sup> International Scientific Conference “Advanced Lightweight Structures And Reflector Antennas”. 1-3 October, 2014 Tbilisi, Georgia, p. 391-399.
6.	L. Datashvili, Horst Baier, Stephan Endler, Nikoloz Maghaldadze, Mathias Friemel, Tao Luo, Gunar Reinicke, Guram Bedukadze, Konstantin Chkhikvadze, E. Medzmariashvili, Nodar Tsignadze, Alexander Ihle, Julian Santiago-Prowald.	Dimensional stability and shape-accuracy of shell-membrane reflecting surfaces made of fibre-reinforced elastomers	Advanced Lightweight Structures And Reflector Antennas”. 1-3 October, 2014 Tbilisi, Georgia, p. 69-78.
7.	E. Medzmariashvili, D. Pataraia, G. Baliashvili, E. Tsotseria, G. Nozadze.	design and calculation of the surface of space parabolic antenna on the basis of discrete conception	Advanced Lightweight Structures And Reflector Antennas”. 1-3 October, 2014 Tbilisi, Georgia, p. 193-199.
<b>მოხსენებათა ანოტაციები</b>			
<p>1. ნაშრომი ეძღვნება რეფლექტორულ ანტენებში ამრეკლი ზედაპირის მიღების ერთ-ერთ ახალ მეთოდს, რომლის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა ზედაპირის უფრო მაღალი რიგის აპროქსიმირებული სიზუსტე. ნაშრომში აგრეთვე წარმოდგენილია რეფლექტორის ამრეკლი ბაზის დრეკადობის მოდულის, მჭიმების მოწყობისა და მათი დაჭიმულობის</p>			

ძალის ექსპერიმენტული გამოკვლევა. განსაზღვრულია ბადის დრეკადობის მოდულის საშუალო მნიშვნელობები, აგრეთვე, დაჭიმულობის ძალებსა და ბადებზე მჭიმების მოდების წერტილების გადაადგილებებს შორის დამოკიდებულების ხასიათი.

მიღებული ექსპერიმენტული კვლევების შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეფლექტორის ამრეკლი ბადის დრეკადობის მოდული ნაქსოვი სტრუქტურის გრძივი და განივი მიმართულებით ერთნაირია. დაღგინდა ბადის დრეკადობის კოეფიციენტები, რომლებიც დატვირთვის გარკვეულ ფარგლებში მუდმივი სიღიდუებია. დამჭიმავი ძალების ზრდისას მჭიმების ჩამაგრების კვანძებში დაფიქსირებული გადაადგილებების სიღიდუების ზრდის დინამიკა არაწრფივია. განსაზღვრა დამჭიმავი ძალის ის მნიშვნელობა, რომლის მოდების მომენტში შეინიშნება გავლენა მოსაზღვრე წერტილებზე. დატვირთვის ზემოქმედებისას მჭიმების ჩაბმის წერტილებში წარმოქმნება ე.წ. ძუძუაქები.

2. ნაშრომში წარმოდგენილი კონსტრუქციების უპირატესობა ანალოგიურ სტრუქტურებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ სექციების ერთმანეთთან დასაკავშირებლად არ არის საჭირო დამატებითი სინქრონიზაციის კვანძების ჩართვა ორივე სარტყელზე ერთდროულად. ქოლგისებური ტიპის კონუსურ კონსტრუქციაში კი საერთოდ ზედმეტია დამატებითი სინქრონიზაციის კვანძების მოწყობა, ვინაიდან თითოეულ რეგულარულ ელემენტს და მთლიანად სტრუქტურას ბუნებრივად გააჩნია ერთი მოძრაობის ხარისხი. განხილულია ტრანსფორმირებადი სისტემების სტრუქტურული სქემები. ჩატარებულია მათი სტრუქტურული ანალიზი კონსტრუქციული კვანძების ხასიათის გათვალისწინებით. დადგენილია სისტემათა ფარდობითი თავისუფლების ხარისხები, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემათა გაშლას დაკეცილი მდგომარეობიდან საპროექტო ზღვრულ მდებარეობამდე. შემუშავებულია გაშლის პროცესის კანონი გეომეტრიულ და კინემატიკურ მახასიათებელთა მიხედვით შესაბამისი რეგულაციის ხარისხით.
3. დიდგაბარიტიანი, მსუბუქი და ხისტი რეფლექტორების შექმნა ამრეკლი ზედაპირის მაღალი სიზუსტით დღესაც პრობლემატურია თანამედროვე საანტენო ტექნიკაში. ბოლო წლებში ახალი სტრუქტურების შესამუშავებლად ჩვენი ინსტიტუტის მიერ უამრავი ერთობლივი სამუშაოებია ჩატარებული ევროპულ კოსმოსურ სააგენტოსა და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად. მათ შორისაა ცილინდრული ორპანტოგრაფიანი, ელექტროამძრავებით გაშლადი კონუსური ჩასატებლერებიანი, მუდმივმომენტიანი ზამბარებით გაშლადი და ელექტროამძრავებით კონტროლირებადი კონუსური ჩასატებლერებიანი ძალოვანი რგოლები. ასევე მოქნილი კავშირებით შექმნილი გეომეტრიულად უცვლელი მათი ცნობრალური ნაწილები. აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში ჩატარებულია მათი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები. მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სავსებით შესაძლებელია შეიქმნას ახალი სტრუქტურები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ ზემოთ წამოყენებულ პირობებს.
4. კოსმოსური რეფლექტორების სტრუქტურული ოპტიმიზაცია მათი წონის შემცირების თვალსაზრისით მოითხოვს ახალ მიღომებს და მათი დიზაინის შექმნას “წინასწარდამაბული კონსტრუქციების” პრინციპების გათვალისწინებით. გამომდინარე

აქედან კონსტრუქციები, და მოცემულ შემთხვევაში სტრუქტურები და გასაშლელი რეფლექტორული ანტენების შექმნა წარმოებს მეტი მოქნილი კავშირებითა და რაც შეიძლება ნაკლები ხისტი ელემენტებით. ამ მიღებობის გათვალისწინებით სტატიაში წარმოდგენილია გეომეტრიულად უცვლელი სისტემა ძალოვანა რგოლში წარმოდგენილი წინასწარდაძაბული ელემენტებითა და ცენტრალური ნაწილის სახით წინასწარდაძაბული ცენტრით.

5. სტატიაში წარმოდგენილია გასაშლელი ჩასატეხდეროებიანი კონუსური რგოლის ძირითადი სქემა. დიზაინი, რომლის სტრუქტურა ეყრდნობა ევროპატენტებში წარმოდგენილ სქემებსა და მის 6 მეტრიან სადემონსტრაციო მოდელზე ჩატარებულ ექსპერიმენტებს კარგ შედეგებს იძლევა. პლატფორმაზე მთავარი საკითხი მუდმივმომენტიანი გამშლელი ზამბარებისა და გაშლის სისტემის მაკონტროლებული ელექტროამძრავების შერჩევა და ინსტალირება. შემოთავაზებული მეთოდი წარმოდგენილ იქნა “ESTEC” – ში, რომელმაც აჩვენა, რომ წარმოდგენილი არქიტექტურით შესაძლებელია მცირე წონის, მაღალი სიხისტისა და დიდგაბარიტიანი მოდულარული რეფლექტორების შექმნა.
6. სტატიაში განხილულია გარს-მებრანული ამრეკლი ზედაპირი, რომელიც დამზადებულია ნახშირბოჭკოვანი სილიკონური (carbon fiber reinforced silicone (CFRS)) მასალისაგან. ჩატარებული გაანგარიშებების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ახალმა მასალამ თავისი ფიზიკო-მექანიკური პარამეტრებით შესაძლებელია სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ლითონის ბადეს, რომელიც აქმდე გამოიყენებოდა დიდ გასაშლელ რეფლექტორებში. კერძოდ იგი გამოირჩევა სიმუბუქითა და ძალიან მცირე ტემპერატურული გაფართოების კოეფიციენტით.
7. განხილულია პრობლემა, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსური პარაბოლური ანტენის შექმნასა და გაანგარიშებას. ანტენის ამრეკლი ზედაპირი, როგორც წესი, მიიღება კოსმოსურ სივრცეში დაკეცილი პაკეტის გაყვანისა და მისი შემდგომი ტრანსფორმაციის საფუძველზე. სტრუქტურული ელემენტები უნდა იყოს სათანადოდ გაანგარიშებული და მოდელირებული და გაშლის შემდგომ ელემენტები საპროექტო სიზუსტით ზუსტად უნდა იყვნენ განლაგებული ამრეკლ ზედაპირზე. პრობლემა გადაწყვეტილია გაანგარიშების დისკრეტული კონცეფციის საფუძველზე ანუ ბაგირ-დეროვანი სისტემის დისკრეტულ წარმოდგენასა და სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების საფუძველზე.

\*საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
---	--	-----------------------	------------------------

	მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების მითითებით		
1	<p>ევროპული კოსმოსური სააგენტოს პროექტი: დიდი აპერტურის ანტენები ულტრასტაბილურ მემბრანაზე.</p> <p>თემა: დემონსტრატორის უპუსტრუქტურის კონცეპტუალური დიზაინი</p>	ქ. მემმარიაშვილი	ბ. ბედუქაძე კ. ჩხილაძე ნ. წიგნაძე შ. წეროძე ლ. ფილიპეგი ა. წიკლაური
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>კვლევების მიზანს წარმოადგენს რეფლექტორული კონსტრუქციების, რომლებიც კოსმოსური რეფლექტორული ანტენების საბაზო ნაწილია, ძირითადი ფუნქციონალური და მექანიკური მოთხოვნების დაზუსტება.</p> <p>ამასთან, მნიშვნელოვანია, ის რომ მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ოფსეტური რეფლექტორები, რომელთა აპერტურის მაქსიმალური გაბარიტი იცვლება დიდ დიაპაზონში 4÷25 მეტრის ფარგლებში.</p> <p>ასევე მნიშვნელოვანია, ის რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვრა მათი კოსმოსურ აპარატთან მიერთების ძირითადი სქემა – გვერდითი ჩამაგრება.</p> <p>უმთავრესი მოთხოვნა, რომელიც წაეყინა კვლევაში განხილულ ოფსეტურ გასაშლელ კოსმოსურ რეფლექტორს არის ის, რომ რეფლექტორის აპერტურის გარკვეულ გაბარიტებში მისი საექსპლოატაციო თვისებები უნდა აკმაყოფილებდეს რეფლექტორის მუშაობას რადიაპაზონის ელექტრომაგნიტურ ტალღებზე.</p> <p>შესრულებულია შემდეგი სახის თეორიული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო:</p> <p>I. განისაზღვრა ექვსმეტრიანი დემონსტრატორის უპუსტრუქტურის კონცეპტუალური დიზაინი.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უპუსტრუქტურის გაბარიტული ზომები და სტრუქტურული სქემა.</li> <li>• უპუსტრუქტურის ელემენტებისადმი მოთხოვნები და მათი დიზაინი</li> <li>• რგოლის თერმოკომპენსაციის შესაძლებლობები.</li> <li>• საყრდენი ბადის შესაძლო სქემები</li> </ul> <p>II. დასაკეცი და ასაწყობი /ნაწილობრივ დასაკეცი უპუსტრუქტურის გამოკვლეული შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დასაკეცი ვარიანტის კონსტრუქციული სქემა და კვანძები</li> </ul>			

- დასაშლელ-ასაწყობი ვარიანტის კონსტრუქციული სქემა და კვანძები.
- ვარიანტების შედარებითი ანალიზი (+ და -) და დასკვნა.

III. დემონსტრატორის გაუწონადობის სათანადო სისტემის კონცეპტუალური ფიზიკური აწყობისთვის და TV ტესტებისთვის.

- რგოლის და ამრეკლის გაუწონადობის სქემების ვარიანტები
- დემონსტრატორის ფრაგმენტების და მათი საპირწონების მასების ანგარიში
- გაუწონადობის სისტემის დეტალები და კვანძები.

IV. უპუსტრუქტურის გრავიტაციული და თერმოელასტიკური დეფორმაციების ანალიზი.

V. სასაზღვრო პირობების და შეერთებების ჩამოყალიბება (განსაზღვრა).